

საარჩევნო ბლოკი – „ერთობა ახალი საქართველო“

ქ.თბილისი

6 სექტემბერი 2017 წელი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

- 1.1 საარჩევნო ბლოკი „ერთობა ახალი საქართველო“ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფილობით გაერთიანებას, რომელიც იქმნება და მოქმედებს ამ წესდების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.2 საარჩევნო ბლოკი შეიქმნა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობისთვის;
- 1.3 საარჩევნო ბლოკი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობს სახელწოდებით „გიორგი ვაშაძე - ერთობა ახალი საქართველო“
- 1.4 საარჩევნო ბლოკის მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი მ.კოსტავას I შეს. კორ 7 ბინა1;
- 1.5 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებში გამოიყენებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველოს“ საარჩევნო ფონდს;
- 1.6 საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიყენება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“ ბეჭედი და ბლანკი.

მუხლი 2. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები - ბლოკის სუბიექტები

- 2.1 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“
- 2.2 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“

მუხლი 3. საარჩევნო კომიტეტის ხელმძღვანელი ორგანო

- 3.1 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან:
საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე - გიორგი ვაშაძე
საარჩევნო ბლოკის მდივანი - პაატა დავითაია

მუხლი 4. საარჩევნო ბლოკის კომიტეტის უფლებამოსილებები

- 4.1 კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს კომიტეტის ორივე წევრის თანხმობით;
- 4.2 საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის განსაზღვრის შესახებ;
- 4.3 საარჩევნო ბლოკის პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- 4.4 საარჩევნო ბლოკის დაშლის შესახებ;
- 4.5 საარჩევნო ბლოკში ახალი წევრის მიღების და გარიცხვის შესახებ;

მუხლი 5. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირები და მათი უფლებამოსილებები

- 5.1 საარჩევნო ბლოკის თანამდებობის პირები არიან:
 - ა) საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე
 - ბ) საარჩევნო ბლოკის მდივანი
- 5.2 საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარე:
 - ა) წარმოადგენს საარჩევნო ბლოკს საარჩევნო პროცესის განმავლობაში და უფლებამოსილია გააკეთოს განცხადებები ბლოკის სახელით;
 - ბ) კოორდინაციას უწევს ბლოკის საერთო პოლიტიკური კურსის განხორციელებას;
 - გ) წარმართავს ბლოკის საარჩევნო კამპანიას და ნიშნავს საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელს;
 - დ) წარმოადგენს ბლოკს საარჩევნო ადმინისტრაციასთან და მესამე პირებთან ურთიერთობაში;
 - ე) ხელს აწერს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;
 - ვ) იღებს გადაწყვეტილებებს საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმომადგენლების დანიშვნის და გამოწვევის შესახებ;
 - ზ) იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის და განთავისუფლების შესახებ;
 - თ) იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებების და სამართლებრივი აქტების გასაჩივრების თაობაზე;
 - ი) იწვევს და თავმჯდომარეობს ბლოკის კომიტეტის სხდომებს და განსაზღვრავს კომიტეტის სხდომის დღის წესრიგს.

კ) წარუდგენს და აუქმებს (საჭიროების შემთხვევაში), ცენტრალურ და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს -საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის არჩევნებში ბლოკის პროპორციული სიის წევრების, მაჟორიტარობისა და ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის, კანდიდატებს მისი ხელმოწერით.

ლ) ახორციელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5.3 საარჩევნო ბლოკის მდივანი:

- ა) უზრუნველყოფს კომიტეტის გადაწყვეტილებათა აღსრულებას;
- ბ) ორგანიზაციულად უზრუნველყოფს კომიტეტის სხდომათა წარმართვას;
- გ) საარჩევნო ბლოკის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;
- დ) ასრულებს კომიტეტის მიერ მიღებული მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილებების შეტანა და ბლოკში ახალი წევრის მიღება და გასვლა

6.1 საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ბლოკში შემავალი ორივე საარჩევნო სუბიექტის ურთიერთ შეთანხმებით.

6.2 საარჩევნო ბლოკი ვადაძდე საქმიანობას წყვეტს თუ საარჩევნო ბლოკში შემავალმა სუბიექტებმა მიიღეს გადაწყვეტილება საარჩევნო ბლოკის გაუქმების შესახებ.

6.3 ბლოკის დაშლის შემთხვევაში

მუხლი 7. წესდება ძალაში შესვლა

7.1 წესდება ძალაში შედის ორივე სუბიექტის ხელმოწერისთანავე.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

„სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველოს“

თავმჯდომარე

გიორგი ვაშაძე



მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“

თავმჯდომარე

პაატა დავითაია